



№ 2.—1915

მიიღება ხელმოწერა 1915 წ...თეატრი და ცხოვრება“-ზე

11 თანვარი



ხერო მგოხანი აკაკი
შისი ავღმყოფობის ვაზო

შინაარსი:

1. მეთაური — აღმართს დაღმართი მოსდევს 1
2. ი. იმედაშვილი — გ. ფოცხოველი "
 - გ. ჯაბაური — ს. პ. სვიმონიძე
3. ვასო მუშა — გ. შ. ხერხეულიძე 2
4. ი. ჯიხაიშვილი — სამშობლოში "
 5. დარია ახვლედიანი — მეურზე, ლექსი 3
 6. მიხ. ბოჭორიშვილი — ვერ მიშველი? "
 7. მიწისშვილი — წინ, სოველილისაყენ? 4
 8. იოსებ არიმათიელი — ქართველი "
 - მწერლები — გ. ტაბიძე 5
 9. გ. ტაბიძე — Art p'ნიკა (ლექსი) 6
 10. ზ. ჩხიკვაძე — კომპ. პ. ი. ჩიქოვსკი (მოგონება) "
 11. დ. პარიჭულა — მგზავრის სიმღერა (შეგობრული პაროდია) 7
 12. ღრუბელი — საქართველოდან რუსეთში (ახალი ჯარის ვაქის ელფერა) 8
 13. ა. შანშიაშვილი — ქალი გრძნეული, დრამ. პოემა 1 მოქ. 9
 14. მიხ. აბრამიშვილი — "სიტყვა" გრი-შვილის პოეზიაში 10
 15. ქნარი — * ლექსი 11
 16. გიგლა მებუჯე — თეატრის ისტორია I. თეატრი პირველყოფილ ხალხში "
 17. დამსწრე ქალი — სამწიგნობრო მუსიკაი 12
 18. არჩილ შათირიშვილი — ხარფუხის რამე-რუმე 13
 19. ევ. ფურცხვანიძე — დედის მკვლელი 14
 20. ქართული სახიობა: 15
 21. წერილი ამბები 16

სახალხო სახლი. სამშაბათს, 13 იანვ.

1915 წ. თბილისის ქართ. დრამატ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოადგენილი იქნება

მ ა რ ვ ა რ ი ბ ა მ დ ი ბ ი

დრამა 5 მოქ. ა. დიუშაშვილის მონაწილეობს შთელი დასი. დასაწყისი საღ. 7 1/2 ს. ადგილების ფასი 1 მ 20 კ-დან 10 კ. რუგ. მ დონელი

აგლაბრის სახალხო თეატრი. კვირას, 11 იანვ. 1915 წ. აგლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წარს მიერ მსახიობ სოსო ივანიძის და ს. ყაიბის მონაწილეობით გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ქართულ სამუდამო თეატრის 65 წ. თავის აღსანიშნავდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორ. დრ. ნ მ. ა. კვაბარისი

ქ ა რ თ ვ ა ლ ი დ ე მ ა

მონაწილეობს შთელი დასი. დასაწყისი საღამოს 7 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მიღებული იქნდება ჯიჯელ დღეს თეატრის კასაში, წარს რუგ. ს. ივანიძე. მორიგი გამგე ა. თავდარიძე.



სე პავ. სვიმონიძე (გოგოლაშვილი)

(25 წ. სასენო მოღვაწეობის გამო) ს. სიძე ამ დროს გამოვიდა ქართულ სცენაზე, როდესაც მსახიობთა სახელობის საქმე-რისი აუგუნ? სიძემ სხეულებს ერთად სთავადახ-ნო ამავე დასად ქართულ სცენას და ხელი შეუწყო სათეატრო საქმი? წინსვლას. მას კარგად იცნობს სახალხო თეატრის სახელგანთავებ, რომლისთვისაც სიძეს უარს ანახ დეს უთქვამს: მუდამ სიამოვნებით მონაწი-ლეობდა ხალხე სახალხო თეატრის ვაწრო და მატრას სცენაზე: 1893 წ. ერთხელ შემთხვევით უსასეიდდოდ იწყვისორა, შეორედ 1894 წ. წრის თხოვითა და დრამ. ს. გიგუთაის დაჯვლებით შეორედ აიასრა რუვისორობა, 1910 წ. ფრ. ჩარვანანმა რომ ხადალადეუმი სახალხო თეატრის დათუქნება განიზრახა, ეს აზრი პარველად სიძეს გადასცა, რომელიც სიამოვნებით დასთანხმდა, მსურვალე მონაწი-ლეობა მიიღო ხადალადევის თეატრის დაარსე: ბაში და დღემდე თავგამოებებით ემსახურება

დღეს ხადალადევის სახალხო თეატრში გაიმართება მისი 25 წ. მოღვაწეობის აღსანი-შნავა წარმოდგენა. წარმოდგენენ "ლალატა". იმედა ხადახი გუდამურყალე შეუქვებებს ამ სასცენო მუშაკის სადღესასწაულო წარმოდგენას.

გიორგი ჯაბაური

თეატრი ნაძალადევი კვირას, 11 იანვარს 1915 წ. ოცდახუთი წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ გაიმართება ბენეფისი ს. პ. სვიმონიძის. რევისორის ქართულ-რუსულ სექციებისა. წარმოდგე-ნილი იქნება ქარ. მსახიობთა მონაწილეობით

დ ა ლ ა ბ ა

დრ. ნ მოქმ. ა. სუშათაშვილისა, მონაწილეობას მიიღებს შთელი ჯგუფი ნაძალადევის სცენის პოევაჩეთა და თანამშრომელთა. ადგილების ფასი 15 კაპ? ვიღერე 60 კ-დღე: დასაწყისი საღამოს 7 საათზე რევისორი პ. სვიმონიძე თან, ი კანდელაკი. გამგე ი. ტორიკაშვილი.



№ 2

წელიწადი
მ მ ს მ მ

წელიწადი 5 მ., ხანგრძლივით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სოციალისტური სტამბაში“. მისამართი: **თიფლისი** რედ. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — შელთნაწერები საქართველოსამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სოციალისტური სტამბის“ კანტორაში — დილით 9-2 ს., საღამოთი 5-7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 2

კ ვ ი რ ა 11 0 ა ნ ბ ვ ა რ ი

1915 წ.

ს კ ა კ ი ს ა ვ ა ღ მ ე ო ფ ო ბ ა

ჩვენი მარქსული მგოსანი აპაიკი ეს მე-

ორე ყვარა მძიმე ავადმყოფია. როგორც გვაცნობს 24-25 ქრისტეს, მგოსანმა დაასრულა ახალი პოემა ახლანდელი ომიანობიდან, რაიცა გახდა მიზეზი ავად-

მყოფობისა. უკანასკნელი ცნობით — მგოსანს წვეთის დაცემის ნიშნები ემჩნევა, მარცხენა ხელ-ფეხი დასდამლებია. ვისურვებთ ჩვენი პატარა სამშობლოს დიდებულ ი შვილი მალე გვეწინას განკურნებული.

11 იანვარი

ალმართს დაღმართი მოსდევს.

თუ ბნელია, სინათლე იქნება, — ასე სჯის ხალხის სიბრძნე და

მუდამ ამ რწმენით უნდა ვილოდეთ ხვალისდღე დღეს...

ევროპის ცივილიზაციის მატარებლებმა, რომლებიც ცის ქვეშეთ ყოველივე სიკეთის სათავედ თავის თავს აღიარებდნენ, მთელი ქვეყნის უდიდეს ნაწილზე სისხლის რუები მოუღდეს და დღემოწინა ზურგა ადამიანთ ლეშით მოპოვნის..

სისხლი, სიშშილი, კვნესა, გოდება, მღურვა ბედისა... წყევა მათი, ვინც ამა ძმას წაპკიდა, საწყალი შრომის შვილი — მხენელ-მთევსელი გლეხი მიწას მოსწყვიტა, მუშა-ხელოსანი — დაზგას, საშუალო მეოჯახე-ვაჭარი, წვრილი მოხელე თუ სხვა — თავის კერას... ვინც ქვეყნად სინათლისა და სიტკბოების საცვლად წყვიდიდი და სიმწარე გააბატონა..

აი, რას მოეცნა...

მართალი უთქვამთ, ცვონებ ძველ რომაელთ, რომ კაცი კაცისთვის მგელია... და მართლაცრასაც დღეს ადამიანი ადამიანს უშვრება, განა მგელი ჩაიდნეს?!

ამ მიზეზით ბევრს გული გასტკნია, უკეთესი მერმის ეს რწმენა დაპყრგვია და, გონება მობინდული, ან უღზო-უკვლოდ სადღაც მიიღტვის, ან უნუგემობით სასოწარკვეთილია, იმედ დაკარგული, კაცობრიობის სიკეთის მოიკეულებზე გულვატბილი..

სახარელია ყოველივე ეს, მაგრამ სწორედ ასეთ დროსაა საჭირო მეტი სიფხიზღე... რა ვუყოთ, რომ დროებით სიბნელემ მოიცვა კაცთა გონება!

როცა ბნელდება — მთავარე-ვარსკვლავები მაშინ გვეკირვება, როცა მყინავს შუის სხივები მაშინ გვენატრება...

ამიტომაც ყოველი მოაზროვნე ადამიანის ვალია, კაცთა შორის მხოლოდ სიყვარულისა და ერთობის გავრცელებას შეუწყოს ხელი, რითაც კი შეუძლიან, და დროებითი უკუღმართობას ქედი არ მოუხაროს...

ნუ დავეცემით სულით! გვეწადეს, რომ ალმართს დაღმართი მოსდევს, და თუ დამევა — გათენდება კიდევ... ბედნიერება მომავალშია!..



გ. მ ხევაჭელიძე (მ ფოტოგრაფი)

კალამი მეურჩება, დავსწერო, მაგრამ უკვე აღსრულდა...

სამი კვირის წინად მოსული ცნობა უკვე გამართლდა: გერმანიის საზღვართან ბრილის დროს მოკლულ იქნა თ. გიორგი მიხეილისძე ხევჩელიძე, — ჩვეის ეურნალის (და საზოგადოდ ქართულ გამოცემათა) უმბზლობელესი მეგობარ-თანამშრომელი სულით და გულით ქართველი, სამშობლო მწერლობისა და ხელოვნების დიდი მოყვარული, ქართულ საზოგადო საქმეთა ერთგული მუშა

კი, მწერლობაში გ. ფოცხოველისა და განხანის სახელით ცნობილი. დასწერა რამდენიმე პიესა (ზოგი მითგანი დაიღვა კიდევ), მოთხრობა და მინიატურა. ერთი წლის წინად იგი განსაკუთრებით საქმიანობამ გაიტაცა და გულწრფელად მუშაობდა. ბოლოს საერთაშორისო ომიანო ბამ ჩაითრია, ვითარცა ბუნებით რაინდი, და ავერ სხვა რამდენიმე ათი-ათას ქართველთან ერთად ემსხვერპლა კიდევ. მისი სიკვდილი განსაკუთრებით დღესაა სამწუხარო ჩვენი ქვეყნისთვის. იგი მუდამ ბრძოლის მწყურვალად, ბრძოლაში გართული, ბრძოლის ველზე მოკვდა ვაჟაკურად. დაუვიწყარი იყოს სახელი შენი, ძვირფასო გიორგი!..

იოსებ იმედაშვილი

გ. მ. ხმარხულიძე (ფოცხოველი)

შემადრწუნებელი ამბავი გვაუწყა ვახეთმა: „ბრძოლის ველზე მოკვლულია გიორგი მახვილისძე ხერხეულიძეო“. რა საშინელი ამბავია...

ძვირფასო გიორგი! თავს ზარი დამცა შენმა ასეთმა, მოულოდნელმა ტრალიკულმა დაღუბვამ... ასე მგონია, ცა თავზე მატყუდება... შენი ასეთი... გამოუთქმელი მწარე ხედრით გამწარებულს მინდა გიყვივთ: ვიყვირო... და ენა მებმის... მინდა რამე გითხრა, და მეტყველი დაემუნჯებულვარ... სითქმელი ვეღარ გამოითქვამს... მინდა დავსწერო რა მე... კალამი აღარ შემოჩაჩილებდა, გული შხამბოლომანადველით მაქვს აღსავსე...

რა რიგ შეურიგდე შენს ასეთს მწარე ხედრს!.. განა იმ აღმაინს, განსაკუთრებით კი შენთან დაახლოვებულს, როგორც მე ვიყავი შენთან, და ვისაც სცენაზე შენი მომხიბლავი თამაში საშეგრდლოს დედა ქალაქ ზუგდიდში შენი მეტირედი ხნის ყოფნის დროს უნახავს ვინც შენ წიგნებით და ელრნად გახეთვებით ხელში გზედავდა ქუჩ აში, რომელ საქმესაც დღეს უბრალო მომთქედანეცი კი თაკილობენ, განსაკუთრებით კი ჩვენში, ვისაც შენ, სხეულგებრივად დადალული, სულიე-

რად დაუღალავი, ფეხით მოსიარულე თვით მყურეუბულ სოფლებში ზუგ. მაზრაში უნახვიხარ, რომ სოფელში პიბლიოთეკა—სამკითხველოები და სკოლები მოგვეფინა, რომ იქაური ბნელი მისსა გაგეთვითცნობიერებინა, ხალხში განათლების სხივი შეგეტანა, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის ღრმა საქირკველი ჩაგვეყარნა, რის გამო შენ ღირსეულად გაფასებდენ და პატოხა გცემდენ, განა ის, ვინც შენ. შენი დაუღალავი მუშაკობისთვის—გაფასებდა, შენი ასეთ უღეთო ვერგა ხედრს შეურიგდებო?

მწარედ მაკონდება, მთელ დამეს რომ იმ შენ საყვარელ საქმეზე ტუბო, აღფრთოვანებულ ლაპარაკით ვათებდით ხშირად გთხოვდი, ჩემთან სულ იმ საქმეზე გესაუბრნა მეტყუი: „მარტო ერთი ლაპარაკი ვერსა აკეთებს, საქმე—საქმეა საქიროო...“

მწარედ მაგონდება ის, რომ კერძო წერილში მწერდი: „ჯერ მადლობის ღირსი... იმდენი არაფერი გამიკეთებია, ჯერ არა ვარ მადლობის ღირსიო, ვფიქრობ დაბერუნდე და ჩემ ძვირიფას სამშობლოსთვის სამსახურს უფრო გულმოდინედ შეუდგეო... აწი კი???!...“

ნეტა ვიცოდე, გიორგი, ამ შენ საყვარელ ტურფა სამშობლოს ნაცვლად, რომელსაც შენ თავზე ევლებოდი, რომლის აყვავება, ბედნიერება შენ გსურდა,—მის ნაცვლად რომელმა უცხო მხარემ მიგიხუტა გულში!

ნეტა სად, სად ამოიგინენ უკანასკნელად... სად ამოიხორც—მწარედ?..

სად დიკენესე უკანასკნელი დღი—ნენა...

მწვიდობით, მარად დაუვიწყარო ღირსეულო მუშაკო .. მწვიდობით...

ვახო მუშა

ს ა გ ე მ ო გ ლ ო შ ი

...სამშობლო ჩემი ნადგურდება და მის ღამაზს მთებს სასლავს ღვარი გადმოსჩქეფს.. შეიღბა მისნი შორს სდადგ იხტებან... სოფელსკი .. მისაქმენა ანსად სხანან, თათქო ეგეჟან „მავლაჯუნა“ დასწოლია, ძიღქუშო დასწეშიათ...

ინგლეჯე ისმის მითქამს—გაღება...

ი. ჯიხიაშვილი



ვან-ბრანდტი

ცნობილი საოპერო მსახიობელი (კოლორატურული სოპრანო)
თბილისის სახანზონო თეატრში 10 იანვრიდან დიწყია მისი გასტროლები.

მეურემი

თავ-ჩაქინდრული, მწუხარე,
ცხოვრების დუხტირ გაზაზღა,
ურემს მიუძღვის გოგია
და მღერის სევდის ხმაზედა:
„მზეო, ამოდი, ამოდი, —
ღრუბლებს ნუ მოეფარეო,
აიციმკოზე სიამიო,
ჩემი ტანჯული მხარეო!
მწუხარე, დაჯანებული,
სიცოცხლით ანეტარეო,
რომ ჩაგრულს შეუმსუბუქდეს
ტანჯვა და სიმწუხარეო.
თორემ რა არის სიცოცხლე,
მარადის მგლოვიარეო,
თუ ვერ ეიბოვით ნუგეშსა,
ვერცა შინ, ვერცა გარეო—
თუ არის ხსნა და ნუგეში—
მოვიდეს, გვანახოს ბარეო,
წაშალოს გულის ნადველი,
ტრემლები შხამზე მწარეო!“
ასე მღეროდა გოგია,
ტრემლიც წყდებოდა თვალზედა,
და მიდიოდა იგი წინ
დუხტირ ცხოვრების გაზაზღა!..
ღარია ახვლედიანისა

ვერ მიშველი?

ჯოჯოხეთის ცეცხლის ალში გაგნებია
ბრძოლის ველი. ზეცას სწვდებო ჩვენი სის-
ხლის შადრევანიო მჩქეფი ქაელი. მზე მთის
მწვერვალს ეფარებო, სტოვებს ცის თალს
სისხლით მორწყულს, დაჰქეითინებს ყრუ
ხმო ქარი, ვერ იბოვო თავსუფარი, ძმა ძმის
სისხლსა აღარ ინდობს. #მოკედი! მოკედი ბრძო-
ლის ველზე! განუტევე სული მალე! ესლა
ისმის, შხოლოდ ამ ხმებს გაჰკივიან!... ეს სა-
ლაში შევისწავლე.

ულვითდ მტყორცნეს ისარი გულს,
უხმოდ ვეკვირი ცივ მიწის მკერდს. ვილუბები
უცხო მხარეს...

სიცოცხლეო! მიღალატე!

მეგობრის უხმო ცხედარს ყვავი ჰქორ-
ტნის, თავს დასჩხავის. სიკვდილს ღიმი არ
შორდება! აჰა, ჩემსკენ იშვერს ის ხელს..
ვილუბები...

აქ სამარეს ვინ მაღირსებს? აქ ცრემლს
ჩემთვის ვინ დააფრქვევს? აქ აღერსით ვინ
მცემს ნუგეშს?

სიცოცხლეო, რისთვის მტოვებ? სიცოც-
ხლეო, მიღალატე? მხდლი გარბის.. უკანა-
კნელ სიცოცხლის წუთს სტოვებს მომწეთ.
არ დამინდო და სიჩქარით წყლულზე თვის
ტლანქ ფეხებს მაქერს.. სად გარბიხარ?
შენც მოკვდები, ვერ მაღწევე მყუდრო ბინას...

შენც დაეცი? არ დაგინდო ბედის წერამ?
ყური უგდე! ეს ვინ კენვის? ვის ეძახის?

— ვილუბები, ვერ მიშველი? მეგობარო
მომეც ხელი, ხა! ხა! ხა! ვისლა ახსოვს მე-
გობარი? ხა! ხა!

— ვერ მიშველი?

— ვერ გიშველი! ვერ გიშველი! ძირს
ჩაილე, ძმაო, ხელი! თორემ იცი? მეგობრის-
კენ გამოწვდილ ხელს მოგამსხვრევინ.

— ვერ მიშველი? ვაჰმე ვკვდები.

ეს ვინლაა? წყნარად! წყნარად! აქ ხსნას
განა კიდევ ელი?

მთ. ხაჭავაძე



„წინ, სიკვდილისაკენ!“

—გასწი, ირბინე! — ეუბნება რაღაც ძლიერი ძალი მოკატაქეთ მხეს, — არ შეჩერდე... ჩქარა... ჩქარა...

და ის შეუჩერებლად მიჰქრის თვალუწვდნელ ცის სივრცეში. მიჰქრის... მიჰქრის კოსმოსის შექმნის პირველი დღიდან. .

რათა?!

მას ხომ თვითონ არა სურს ასე იაროს .. არა, არ ჰსურს... მას არ უნდა... ვერა ხედვით, როცა ის საღამოს ზღვის ტალღებში იმალება. ის თითქოს სტირის... ის იზრძვის... ის ხტება, — მაღლა იწვევა, რომ ერთი კიდევ შეხედოს. თვალი მოჰკრას საყვარელ ქვეყანას... მაგრამ უბეში ძალი მას არ აზერებს... მიაქანებს... შორს მიაქანებს!..

— წინ! დიწვი საკუთარს ცეცხლში... სხვაც დასწვი... იარე... იარე!..

—ეს ხომ სიკვდილია... სიკე..

—ჩქარა... თუნდა მოკვდი... დიწვი... მხოლოდ წინ!.. არ აჩერებს ძლიერი ძალი და ის მიჰქრის. მიჰქრის..

—სიკვდილისაკენ!..

— გაიზარდე, გაიზარდე! — ეუბნებიან პაწია ბავშვს... გაიზარდე ახელა, აპა... დიდი კაცი.. მალე გაიზარდე, რომ. .

საწყლები!.. ჩქარა... და ის კი არ იციან, რომ ეს მალე გაზრდა მალე სიკვდილსა ნიშნავს...

ნუ, ჩემო პატარა... ნუ უჩქარი... სიკვდილი ისეც ადრე მოვა ..

— გაზაფხულდა! — გაიძახიან ყველანი — გაზაფხულდა!.. და ნახმა იამ თავი წამოყო... ხის ტოტები რაღაც უცნაური კვირტებით დიფიარა... ვარდის კუკურები დიდდებიან... ფართოვდებიან... რაღაც უხილავი ძალი თითქოს ბერავს მათ...
— მალე გაიზარდე... გაიფურჩქნე... ჩქარა, ჩქარა!.. ეძახის მათ შიგნიდან ის და ვარდი იშლებს, იშლებს...

— მაიკლე... არ მინდა! ეუბნება ამ ძალის კუკური, — მაგრამ მას არ ესმის, ... არ

ესმის .. ეძალეზა — წინ, წინ, გაიზარდე... გაიფურჩქნო!..

ნელა .. ნელა გაიზარდე, კუკურო, თორემ მალე, მალე მოვა შემოდგომა და ყველანი გაყვითლებულნი ძირს ჩამოიყრებით... ნუ, ნუ უყურებთ მას, ნუ უჩქარით... ნელა გაიზარდეთ . ნელა!..

ნუ მიჰქრი ასე სწრაფად, ცხოვრებაგ!.. ნელა, ნელა... შენ ისე ლამაზი ხარ, ისე მშვენიერი ხარ, მაგრამ შენ ისე ჩქარა მიჰქრის ხარ, რომ ბევრი, ვისაც შენსავით სწრაფი თვლები არა აქვს, ვერ ამჩვენებს შენს სიმშვენიერეს .. ნელა წადი... დეე, ყველა დასტკბეს შენი სილამაზით... სიმშვენიერით... ყველა დასტკბეს!..

და მაინც რას უჩქარი?.. იქ, ბოლოს ხომ იცი რა გელის! ანა ხომ იქა გაჩერებული!.. სიკვდილი .. რაც მალე მიხვალ, იმდენად მალე მოგიღებს ბოლოს .. მაშ ნელა... ნელა..


ოხ, არ ესმით! . მზე მაინც ჩქარა მიჰქრის... მას სითბო აკლდება — ის იფერფლება საკუთარსავე აღში . პატარა კი უცბად გაიზარდა .. ყოველი მცენარე ზევით იწვევს... წუთობით იზრდება .. ცხოვრებაც მიჰქრის. . ვერ ჩერდება... ვერ ჩერდება — წინ, ჩქარა! — გაიძახის ეს საიდუმლო ძლიერი ძალი. . და ყველაფერი შეუჩერებლად მიჰქრის, რათა მალე განვლოს თავისი გზა და შემდეგ სიკვდილის მსხვერპლი შექციეს... რათა შემდეგ სიკვდილი დაეპატრონოს მას... — წინ, წინ, -- და ყველაფერი მიჰქრის...
და შეუჩერებელია ეს წინსვლა სიკვდილისაკენ... შეუჩერებელია...

ოჰ, ნელა წადით .. ნელა . იქ ხომ სიკვდილია. . ნელა!

რინისაჭ



ქართველი ხელოვნები—გადაქტიონ ტაბიძე



გ. ტაბიძე

(მისი ლექსების გამოცემის გამო)

საქართველო მგოსანთ ქვეყანაა, სთქვა ვილაკამ. თუ რითმებით ამბების მწერალთა აიღებთ, ეს აზრი იქნება პართალიც იყოს, მაგრამ ქვემარტივი მგოსანი კი, ისეთი, რომელმაც შეიცნობოს ბუნება და ადამიანის სულისკვეთება, მსოფლიოს გარე-მიდამო იგრძნოს და ნაგრძობი სხვასაც აგრძნობინოს, ისეთი მგოსანი მაინც და მაინც ბევრი არ მოიძებნება ჩვენს ახალგაზდა მოლექსეთა შორის.

ადამიანის სულის კვებების, შინაგან განტკნის გადმოცემა ერთია და რომელიმე წინადადეგ ადებულ, აზრის გარითმულ პუკარებში ჩამოყალიბება მეორე. ჩვენი მწიგნობრობა ჯერ კიდევ ელის კრიტიკოსს და ვიდრე მადლ-ნიჭიერი კრიტიკოსი მოგვევლინებოდეს, ჩვენი მწერლობა განუყოფელი იქმნება და ყოველ მოლექსეს მგოსნის სახელით დაავიკრავინებენ.

გადაქტიონ ტაბიძე-კი, რომელმაც პირველი ორიოდ ლექსი 1908 წ. გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მეტად 1910 წ. უფრ, თეატრი

და ცხოვრებაში და სხვაგან გაშლია ფრთა და თვის ლექსთა თაიგული ვასულ წელს გამოცემა ცალკე წიგნად, არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელიც ლეგიონია...

გ. ტაბიძე, —ეს ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა შესაიდუმლე, —სრულიად განკერძოებითა სდგას და თვისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთა (ჩვენში ნ. ბარათაშვილს) უახლოვდება სამართლიანად შენიშნავს კრიტიკოსი იგი გომართელი; როდესაც ამბობს: „ტაბიძემ ღრმად იგრძნო ყოველი შეგნებელი ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა, ბარათაშვილს გამოეხმაურა და თვისი მკენესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა...“

ჩვენი პოეზიის ქურუმნი მეცხრამეტე საუკუნეში და ახლაც უმეტესად მამული-შვილურ-მაკლავობრივ ჰანგთა შერამ გაიტაცა, უკანასკნელ ხანში ნამე პაროგრაფულ ლექსებს სწერენ. ეს იქნება სწორად ასეც იყოს საჭირო, მაგრამ ქვემარტივი მგოსანს კიდევ სხვა მიზანი აქვს: ადამიანის სულის განცდათა გამოძილება, ჩვეულებრივ ადამიანისათვის მიუწოდებლის შეცნობა...

გ. ტაბიძემ თავის ლექსთა მშვენიერ თაიგულში საუცხოვოდ გადავიწია მუდამ მემიებელის, სულით ღელვილი ადამიანის სწრაფვა, აღბეჭდა უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რქმენის მერყეობა, ახალი გზების ძებნა, იმედის გატარება, უფრუგუშობა.

ამ პატარა საბინლოგრაფიო წიგნლში მოუხერხებელია მკითხველს გადასცეთ ყოველივე ის, რითაც ვასულდგმულბულია გ. ტაბიძის ნახი ლექსები (ვიტკობთ მოკლე დროში უფრო ვრცელი განხილვა მოვათავსოთ), ვიტყვით-კი, რომ ახალგაზდა მგოსანი იღლის ყურადღების ღირსია, და ვისაც მსურს განიცადოს სულიერი მკაყოფილება, უაღრესი სიტკობება, მან თვით ნაწერები —მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს.

იოსებ არიშათიელი

Art poétique

მე მიყვარს ჰანგი გოქნობით გამოზარი,
 ყვაილებივით ნაზი და ჩუმი,
 ხან მოთამაშე, ვით ნიაფ-ქარი,
 ხან მოზრიალე, ვით აბრეშუმი.
 სიძლერა გულში დაგუბებულ
 ხან ნიავეით, ხან შეწლილივით,
 როცა სიღრმეში ვერ იტყვს გული,
 მოდის და მოდის ფერად ლივლივით.
 იმღერე დამთვრალ ყვაილთა მტვერში,
 იმღერე ტრფობის ან მტრობის ხმაზე,
 ოღონდ ყველაში და ყველაფერში
 მუსიკა იყოს და სილამაზე,
 მუსიკა გვიხსნის! ჰოი, მგონებო,
 მართალი არის ბრძენთა თქმულება,
 რომ უფრო დიდი და საოცნებო,
 უფრო მაღალი დანიშნულება
 ან არის, როგორც განწმენის ხმაში,
 ვით ცეცხლის ალში, დააცხრო ვნება:
 რასაც არ ჰქვია რითმთა თამაში
 და განცდათ ტანჯვა—მშვენიერება.
 იმღერე გოქნობით და როცა მღერი
 მწუხარების ან იმედის ხმაზე,
 მარად გახსოვდეს, რომ ყველაფერი
 მუსიკა არის და სილამაზე!



კოშკ. პ. ი. ჩიქოვსკი
 (მოგონება)

1890 წელიწადი პირადად ჩემთვის ფრიად მესანიშნავი, სამახსოვრო და დაუვიწყარია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ წლის იანვრიდან სრულიად მოულოდნელად და უთხოვ-ნელად გადამიყვანეს თბილისს უკეთეს

ალაგზე. მაგრამ ეს კიდე არაფერი იმას-თან შედარებით, რასაც მე ქვემოლ მოუთხრობ პატივცემულ მკითხველს.

მას აქედ თითქმის ოცდა ხუთი წელი-წალია და ეხლაც არ მაგიწყდება ის სასიამოვნო, ჩემთვის ძვირფასი, წამები, რომელიც მე განვიცადე იმ დროს, როცა მქონდა ბუნდევრება პირადად გამეცნო განსვენებული რუსეთის,—რას ვამბობ, მარტო რუსეთის კი არა—მთელი მსოფლიოსათვის—ძვირფასი კოპოზიტიორი, დიდებული მუსიკოსი, მაესტრო პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი.

იქნება ზოგიერთს კიდევ გაეცინოს, სასაცილოდ ამიგდოს და სთქვას: დიდი რამეა, თუ რუსის კომპოზიტიორი გაგიცნიაო. არა ეს სამართლიანი არ იქნება. საქმე იმაშია, რომ მუსიკა და მისი ქურუმნი ეკუთვნიან მთელ კაცობრიობას, ასპარეზი მათი დიღია და ვიწრო ფარგალში მათი მომწყვედევა ყოვლად შეუძლებელია. ყოველი ერის კომპოზიტიორი იმდენად და მანამდე ეროვნული, ვიდრე თავის ეროვნულ ჰანგებს იკვლევს, სწერს, ამშვენიერებს და ამ ნიადაგზე ჰქმნის სხვა და სხვა ეროვნულ ნაწარმოებს. შემდეგ ამისა, როცა დიდებული კომპოზიტიორი თვის შემოქმედებითი ნიჭს და უნარს ფართოდ აძლევს თავისუფლების გზას, ჰქმნის ცალ აღმტაც, აღამიანს სმენის დამატკობელ მუსიკალურ ობზულებათ: აგორტეტებს, აგორტეტებს, სუიეტებს, ოპერებს, სიმფონიებს თუ სხვას, მაშინ ის მთელი კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს. განა ტყუილია? ვინ არ დამტკბარა, ვინ არ აღფრთოვანებულა; ვის არ უგრძენია თავისი თავი ნეტარებითი ქვეყანაში, ვის არ დავიწყებია რამდენიმე ხნით მიწაც სააქაო და ვინ არ გაუტაცნია შესმატბილებულ საარაკო ჰანგებს ბეთხოვენის სიმფონიებისას, დიდებულ მოცარტს უკვდავ ქმნილებებს, ბახის, გაიდნის, გლიუკის, ვაგნერის, ვერდის და სხვათა დიდებულ ნაწარმოებთ? ეს უკვდავი ქურუმნი მუსიკისა განა რომელიმე ერის საკუთრებას შეადგენენ? განა მარტო იმათ აუტოკებათ გული ამ დიდებულთა ნაწარმოებით, ვისაც ან რომელ ერსაც ისინი ეკუთვნიან? სრულებითაც არა! სწორედ ამათანა უკვდავთა რიცხვშია



ლადო ლონგინოზის ძე კავსაძე

რუსულ საოპერეტო დასის მსახიობ-მომღერალი. სწავლობდა მოსკოვში. იქვე დაიწყო სასცენო მოღვაწეობა 1910 წ. ტენორია, პირველ ხარისხოვანი მსახიობი და პირველ როლებს ასრულებს ამ ვამალ თბილისშია.

განსვენებული პ. ჩაიკოვსკიც და მიტომ ჩემზე, როგორც უბრალო და პატარა კაცზე, ისეთა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. საქმე რაშია? რა მოხდა?

აი რა მოხდა: ცოტა ხნის შემდეგ, რაკი თბილისში დავინავდი, რუსის საინჟერატორო მონადირეთა საზოგადოების წევრად ჩავეწერე ამავე საზოგადოების თავმჯდომარედ იყო კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკის ძმა ანატოლი ილიას-ძე, რომელსაც მაშინ გუმბერანატორის თანაშემწის ადგილი ეჭირა. ერთხელ დაწოთის კარში, ნადირობის შემდეგ, ესაღილობდით იქვე ტყეში. ჩვენთან იყო ა ი. ჩაიკოვსკიც. იმან იქ, სხვათა შორის, ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმის ძმას, კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკის ვიცნოს ის პირნი, რომელთაც რამე ნაშრომი აქვთ ქართულ ეროვნულ მუსიკიდან. აქვე ჩვენთან იყო ჩვენი სასწავლებლის უფროსი, რომელმაც უთხრა, როგორც გავიგე, მგონი ჩემზე, ამას ქართული ხალხური სიმღერები აქვს შეკრებილი და ნოტებზე დაწობილია.

რა გაიგო ეს, მომიბრუნდაა ი. ჩაიკოვსკი და მთხოვა: თუ შეიძლება ინახულე ჩემი ძმა და მიუტანე ის ნოტებიო. მე ვუპასუხე: შეიძლება კი არა, ჩემ თავს უზედნიერეს კაცად ჩაითვლი, თუ ვეღირსები თქვენი ძმის გაცნობას მეთქი.

—ხელო არ იქნება შინ, ზეგ საღამოს უქმველად მდრით და ჩემი ძმა შინ დაგხედ-ბათო. მითხრა ანატოლი ჩაიკოვსკიმ.

საღამოს ცხრა საათისათვის დაინიშნა ღლო.

წ. ჩიჩიკვაძე
(გაგრძელება იქნება)

მზახარის სიმღერა

(მეგობრული პაროდია)

ვირზე შევჯდა, ვირით მიდის

ბორჯომისკენ ყვანჩილა;

ვირის ზურგზე ბუქნას შერებია,

ლექის წერით დაღლილა...

ვაა, შენს ვირს, ვადილა,
მოშირიე ყვანჩილა...

თავზე თმები გადივარცხნა,

მთავრად ააკაშკაშა;

ლექის წერა კვლავ დაიწყო,—

ვირი ათათაშა...

ვაა, შენს ლექსს, ვადილა
ფიორღების ყვანჩილა...

ბორჯომს თავი დაანებე,

და მოშორდი იმ ქიშა;

კვლავ პეტროვრადსა ესტუმრე,—

აქ შიარი გიმძიშა?...

ვაა, ჩელო, ვადილა,
რა გამღერებს ყვანჩილა...

წვეის პირად ვილაც გოგომ

ფეხი გადივანტილა,

ტიტველ ტანზე წყალსა იხსამს,

ჩქარა გასწი ყვანჩილა...

ვაა, ლელი, ვადილა,
წყალზე ქალი გაშლილა!

ის გოგონა გადაკოცნის,

წყალსა გასმევს პეშეითა,

შენს ვირსა კი ის დაუწყებს,

შორით ქვრეტას ექვითა...

ვაა, ლელი, ვადილა,
ნეტავი შენ ყვანჩილა...

ვირზე შევჯდა, ვირით მიდის,

ბორჯომისკენ ყვანჩილა;

ვირზე ბუქნას აკეთებს,

ლექის წერით დაღლილა...

ვაა, დელი, ვადილას,
ჩქარი ტაში ყვანჩილას...

დ. პარჩელა

საქართველდან რუსეთში

(ახალი ჯარის კაცის ელგია)

ქვინავს და მიჰქრის საღღაც შორს, შორს მატარებელი,
და სევდა მიჰყრობს, რაღაც სევდა გაურკვეველი...
მატარებელია, საღ მიაფერნ ქართველთა შვილებს,
ნაზ საქართველოს ლაღ გულ-მკერდზე ლაღად აღზრდილებს?..

ოხ, რა გულცივად მეგვებში, რუსეთის ველო!..
ან შენ თავს რაზე დამყრანტალებ, შავო ფრინველო?!
დალონებული შორს ვაცეცებ ნაღვლიან თვალებს,
საღაც ყაზბეგი ვერცხლის ქულით ელავს, ბრწყინვალეებს;

მიგრამ ვშორდები.. და სამშობლოც თვალს ეფარება,
იქნებ საშუღმოდ?!?. და გულს იპყრობს ყრუ მღუმარება
სამშობლო მხარეც, რისთვის მხარდე მე შენი შვილი,
თუ შენს ლაღ გვერდზე არ მეწერა ბედშავს სიკვდილი...

ახლა ვინ იცის, რომელ ველზე დავხუქავ თვალებს,
ან და რა მხეცი დააღესავს კბილებს ჩემს ძვალებს...
მოშორებული მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს,
სამარესაც ვერ ვეღირსებში, შავბნელ სამარეს,—

არამედ ველი, ფართე ველი, თვალუწვდენელი,
ქამსა სიკვდილის მკერდს მიმიკრავს. ვითა მშობელი...
ღრუბელი



რეჟ. მ. ქორელი. შარჟი



„გაწყვდილი სიმი“

ალ. იმედაშვილი (ვახტანგი)



პოლკ. თავ. კონ. აღმ. მიქელაძე
(ოსმალეთის საზღვარზე მოკლული)



შტ.-კავ. გ. მ. ნერხულოძე (ფოცხოველი)
(მოკლული —უკანასკნელი სურათი)



ქ ა ლ ი ბ რ ძ ნ ე შ უ ლ ი

(დრამატული პოემა I მოქმედება.)

ალ. შანშიაშვილი

შესავალი

ო, ნეტამც, ქალო, დარჩენილიყავ სიზმრის მეგობრად, კვლავ შორეული! ნეტამც წარმელო ხსოვნა სოფლიდან, რომ ხარ სპეტაკი, სულის რჩეული.

იგი ტაძარი, მე რომ აღვიგე, არ იქმნებოდა ახლა რღვეული და მის ნანგრევზე არ ვიგლოვებდი: ქალო ლამაზო, რად ხარ გრძნეული? განა ვიცოდი, ზღაპრის დედოფალს, საგანს მღერისას, აღტაცებისას, რომელს გეტრფოდი ჩემს ოცნებაში და გძღვნიდი ლოცვას მარად ქებისას სინამდვილეში ცბიერად გცნობდი? ან იქმნებოდი თნვეს ჩველი? ხომ სიზმარშიაც ასე გიმღერდი: ქალო ლამაზო, რად ხარ გრძნეული? სულის წუხილით წარსულს მივსტერი, როს ყრმობა ჩემი შენით ჰხარობდა; დრო იყო იგი ჩემთვის საამო, ოცნება მაშინ მონარნარობდა, მაგრამ ვაი, რომ დამწვარ გულისთვის აწმყო მეტყველობს შხამად ქცეული! ო, გამიგონე: არც ახლა მძულხარ — ქალო შეითვალავ, რად ხარ გრძნეული?!

მომქმენი პირნი:

ძნეო — ქალთა დედოფალი

ჰანგო	} სამეო ძმანი
გმარო	
ბრძენო	

ძნეოს ქალთა აბალა.

*1 ეს ნაწარმოები გასულ კვირას თვით ავტორმა წაწაკითხა ახალი კლუბის დარბაზში მრავალი ხალხის თანდასწებით. შემდეგ გაიმართა მუსიკა, მაგრამ მოლაპარაკენი, რომელთა შორის ბევრმა მკერფმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა, ან ნაკლებ შეეხენ ნაწარმოებებს ან ეკლემზიცი, ნაწარმოები კი უფრო მეტის ყურადღების ღირსია. ამიტომ დღიდან ვბეჭდავთ.

რად.

საუტროვოდ შორეთელი ვრცელი დარბაზი. მარცხნივ საწოლი ოთახი, რომელსაც თბელი და გამსჭვირველ ფარდა აქვს ჩამოფარებული; იქ სძინავს ძნეოს. მარჯვნივ შავი სქელი ფარდა. შუაზე ძვირფასად შორეთელი ტახტი. მარცხენა მხარეს სდას ძველი, რომელიც გამოჰხატავს **ჰნავის ღმერთბას**. იგი ოდნე წინ გადმობრლია. ნახად აწეულ ზეღში გული უტირავს და ისე დასცქერის, თითქოს კიდევ შესტრფიალებდეს და თითქოს კიდევ ამაყად დასციროდეს. სვეტებს უკან ფართო შეშაბანდია, ოდნე ბნელა-ნელნელა თენდება და შეშაბანდიდან გამოჩნდება ნაწილი ზღვისა. გარედ ისმის ჰანგოს წყნარი, სულისკეთებითი სიმღერა ჩანგის ხმებთან შეწყობილი. მუსიკა.

ჰანგოს სიმღერა

ცის ლაქვარზე უკანასკნელს ვარსკვლავს ვხედავ, — მოციალეხს: იგი შუქით მონარნარე მივამსგავსე მეგ შენს თვალებს. გადმოხმედე, ჩემო სულო, და გზა მოჰქე ამ ბნელ ღამეს; დედოფლო! გახსენ კარი! მიმეც შეგებს და სიამეს.

— — —
ცისკარს მოაქვს თან ნიაგი, შენს სარკმელსა დაუქროლა და მივითხრო, ვით მივსუნტდი, სულსხმა თუ ვით ამათოთლო. შენ, მიჯნურო, ტკბილად გჩანავს. მე ვტიანჯულვარ მრავალ ღამეს! გაიღვიძე, გახსენ კარი! მიმეც შეგებს და სიამეს. უძლურობამ, დილილობამ მთლიად წარიღო ჩემი ღონე; რად დამსტოვე გარედ მარტო, სული რისთვის შემიღონე? ნუ თუ მისთვის, რომ მიყვარხარ და ტრემლს ვფრტყევ ამ ბნელ ღამეს? დედოფალი: გახსენ კარი! მიმეც შეგებს და სიამეს!

(ძნეოს გამოვილიქმა და უფრის უღლებს)

სინატრელო ჩემო, სულა!
 დილის ნამთა თმა მონამეს.
 აღზღექ, აღზღექ ძილისაგან!
 სხივი სორგუნავს უკვე ღამეს!
 დღეოფალო! გახსენ კარი!
 მიმეც შეგებას და სიამეს!

(ძნეო ხის სოლინარს ჰრეკს. შემოდის ამაღა)
ძნეო შუშაბანდს ფარდა გადასწიეთ!

ფარდას გადასწევენ. გამოჩნდება ზღვის პირი, მოშორებთი მშვენიერი კლდოვანი ნაპირი: ცისკრეთიდან ქალი მანთიადი ჩნდება. მუსიკა. განთიადი ორთვლიან ეტლზე სვას. ეტლში შვიდი წყვილი გედი აბია. ლამაზი და ნათელი მანთიადი გედებს ლერწმის შტოთი ერეკება თავზე ყვავილების გვირგვინი ადგია. თმა გაშლილი აქვს. ნათელ ხელით სოფელს წითელ ვარდებს აბნევს. ვედები სიმღერით ეტლს დასაგლეთისკენ გადაატარებენ. ძნეოს საპირფარეოსო მიუჯდება. ამაღა გარს დასტრიალებსო.

ძნეო ნანო!
ნანო მიბრძანე!
ძნეო გარედ ვინ მღერის?
ნანო რა მოგახსენოთ?

აღბად იქნება თქვენი მონა შეყვარებული!
 შუალიამიდან უკვე მღერის
 გრძნობიერს ჰანგებს.

ძნეო წაიდი გაიგე, სიდან მოსულა, სადაურიკა?
 ლოი!

ლიო მიბრძანე!
ძნეო ეს სამკაული უკვე მომზებრდა.

იგი სამოსიც ვგონებ ჩემს სხეულს ადარ აშვე-
 ნებს.

წაიდი, მოიტა სხვა სამკაული,
 აღმოსავლეთის მფეის მოძღვნილი!
 გვირგვინი, ძვირფას თვლებით მოსილი.
 სასურე ნათელ აღმისიანი და ყელსაბამი.
 და საზეიმო ტანსამოსიც თან მოაყოლე.
 თხელი სამოსი, საკინძით რომ მზრებზე იკვრება.
 გუშინწინ ჩემმა მისანმა მითხარა:
 დიდებულ სტუმარს ზეგ შეგხედებო!
 წაიდი, რაც გითხარ, მსწრაფდ შეისრულე.
 (ლიო გადის)

მ. მანიაშვილი

(გარჩელება შემდეგ ნომერში)

„სიტყვა“ გრიუზაზვილის პოეზიაში

აღმანის სულიერი ძალა სხვა და სხვა ფორმით აშკარადგება; დასაბამი მისი ერთია, მაგრამ სხვა და სხვა ტოტებზე შლიდა. შემუშავებულია ენათა ფსიქოლოგიის მეტნაერთა მიერ (ჭუმბოლტი, ზოტენია, თასანიაკო-კულიკოვსკი), რომ მთელი შემოქმედება ადამიანის ფსიქიკასა მაც. სიტყვა-კასმული მწერლობა (ზროსა, ზოქსია), სურათმოდერება და მუსიკა, ნათელი არის ერის ისტორიული განვითარებისა, მხოლოდ სხვა და სხვა ფორმით. მაც. კასმული მწერლობა სიტყვას მიმართავს, მუსიკა რითმს და სურათმოდერება კი უმთავრესად სახსა და გეომეტრიულ ფორმებს. რომელი დარგი ხელდასწრებს უფრო ძლიერად გამოხატვას ჩვენ სულიერ სიმდიდრეს, ძნელი სთავიქმედია; მუსიკა სმის ინტონაციის საშუალებით, ისევე მძღვრად და სზიარდ უფრო ძლიერად გვაგრძნობიებს შინაგან ფსიქიურ უმოცობებს, როგორად უსიტყვა“. ესევე ითქმის მსტერობისა და სურათმოდერებასზე. მაგრამ ადამიანის ფსიქიკა ისეთი რთული და მრავალმხრივია, რომ მისი სასესებო გამოაშკარავება არც ერთ ხელდასწრე დარგს არ შეუძლია; ზღვა არის კაცის სული, რომელშიც ჩვენ გარეგან შედეგებს თუ ვსჯდეთ. ადამიანის ერთ ძლიერ ტრანსკლადის სწორედ ეს შეადგენს, რომ ჩვენი სულიერი ძალა, ობიექტიურად გამოთქმული და განსუქორებულია. ეოველივე ხელდასწრე დარგი, იქნება იგი მუსიკა თუ სურათმოდერება ან მსტერობა, თვისი ნათელ გამოხატვასა და სხვისთვის გადასაცემად, სიტყვას საჭიროებს; პუთ-სოფინის სიმდიდრისა და მიქელ-ანჯელოს სურათის თუ გინდათ მისნეთ ნათელი და შვეთარი ობიექტიური გამოხატულება; სიტყვაში უნდა ჩამოასწავსო, რადგან სიტყვა არათუ მარტო გარეგან ფორმებს ტანმოგვემს, არამედ იგი შინაგან იდეებსაც გამოხატავს; სიტყვა არის არა მარტო აბრადი აზროვნებისა, არამედ თვითმომქმედი ძალა; იგი გამოხატავს არა თუ მარტო ჩვენ ქაოტიურ ლტოლვილებს და განცდას, არამედ მისში ნათელი და გარეგული სახეებიც შეაკვს და თვითვე სდება წყაროდ ახალი იდეებისა, და სზიარდ ინდივიდუალური სიძლიერე აზროვნების

მხრე, მის სიტყვაში აშკარაა, მაგრამ დაუხვავად ამისა, სიტყვა მანც, სუსტია საყრდენით გადმოსცეს დრამა და ფართე შინაარსი მიქელანჯელოს ფრესკებისა ჟღანდებისა ზირველი ფერდელისა, როგორც ამ სურათს არ შეუძლიან საყრდენით გამოაშკარავოს ჟღანდ და მძიფრი სეველით მიტეული სახე მიქელანჯელოსი. ამ ტრაგედიას, სიტყვის სისუსტით გამოწვეულს, უფელზე უფრო მეტსაა განიღვანად, რადგან მათი ფისინია, შედარებით, უფრო ნახი, მგრძობიარე და ელასტიურია, და უმეზარტად უოველივე მძიფრი განდგა სიტყვაში ძივლად უაღბლებს.

ჩვენს მგოსან გრამაშეილსაც ძლიერად უგრძნია ეს ტანჯვა სიტყვისა. ზირველი შეხედულით საკვარელია; არც ერთ ჩვენს ხსალგასლად მიქელანჯელოს არ ემარჯვება სიტყვის ისე, როგორც გრამაშეილს; არც ერთი არ არის მკვეთრი ოსტიატი სიტყვის გრამაშეილსავე. ეს დეპულეა მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ მგოსანი ძლიერ ტრაგედიის განიღვანად შემოქმედების დროს, ეს შემოქმედების სფერო მგოსანის ჩვენთვის დაფრთხილია, მაგრამ ის ღირთული აღსრულები, რომელიც მის ზოგისაში კაიონის, ნათელს უოფენ ამ მოვლენას. ეს სხვათა შორის მითაც აისხნება, რომ მგოსანი შედარებით უფრო გულწრფელია; ეს გულწრფელია მგოსანის ძლიერ ინდივიდუალობის მომსახურებელია, იგი გულახდილად მას შეტყულებს; რაც მგოსანის სულს ძლიერ აღტოვებს აღმძრავს და მგოსანი ხშირად არც მას ერიდება, რომ სასოგადობებოც აზრი გასწავლას თვისი მოქნილი ლექსით.

მის. აბრამიშვილი

(გაბატლება იქნება)

* *

აფრას გრიგალი მოუსვენარი
სწეწავს და გლუვავს, თოვლივით თეარსა ..
მე კი კვლავ ნავით მივფრინავ ზღვაზე
და უცხო ცის ქვეშ დავიკებ მელსა...

მივფრინავ შორს, შორს და თანაც ვიქრობ:
ნუ თუ ზღვის რისხვას ვადარებებ?
დაე, გადამხდეს, რაც მიწერია,
შენთან კი, ტურფავ, ველარ დავრჩები.

ქნარი

თეატრის ისტორია

I. თეატრი პირველყოფილ ხალხში

